



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №82

2014 წლის 10 ოქტომბერი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პირველი, მე-2 ნაწილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №45 განკარგულებაში კერძოდ:

ა) საკრებულოს წევრები: ზურაბ არაბული და ირაკლი ახალაშვილი შეყვანილნი იქნენ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში წევრებად;

ბ) საკრებულოს წევრი გოგიტა ყარმაზანაშვილი შეყვანილი იქნეს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობაში წევრად.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი